



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის  
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

27/03 2017წ.

თბილისი

№ 156

ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში საქართველოს მოქალაქის უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებით საქართველოს სასაზღვრო გამტარ პუნქტებზე განსახორციელებელი დამატებითი ღონისძიებების შესახებ

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. საქართველოს მოქალაქის საქართველოდან გამგზავრების დროს მესაზღვრე-კონტროლიორმა, გარდა საქართველოს კანონმდებლობით, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი სტანდარტული სამოქმედო პროცედურებისა, განახორციელოს ამ ბრძანებით განსაზღვრული ღონისძიებები 2017 წლის 28 მარტიდან, თუ საქართველოს საჰაერო სასაზღვრო გამტარ პუნქტზე საზღვრის კვეთისას დადგინდება, რომ მოქალაქე მიემგზავრება ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში.
2. საქართველოს საჰაერო სასაზღვრო გამტარ პუნქტზე მესაზღვრე-კონტროლიორი ვალდებულია, გაესაუბროს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც კვეთს სახელმწიფო



საზღვარს და გასაუბრების შედეგად გამოარკვიოს მისი მგზავრობის მიზანი და მიმართულება. თუ დადგინდა, რომ მოქალაქე მიემგზავრება ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში, მესაზღვრე-კონტროლიორი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით ამოწმებს შემდეგ სამგზავრო დოკუმენტებს:

ა) პასპორტი ან მისი შემცვლელი სხვა სამგზავრო დოკუმენტი, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე აღიარებული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც ვარგისია მგზავრობისათვის, არის თუ არა ბიომეტრიული, გაცემულია თუ არა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში და საქართველოში დაბრუნების დღისთვის მისი მოქმედების ვადაა მინიმუმ 3 თვე;

ბ) უკან დასაბრუნებელი სამგზავრო ბილეთი;

გ) სასტუმროს/საცხოვრებელი ბინის მოქმედი ჯავშანი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი და მისამართი ან ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნის ტერიტორიაზე ლეგალურად მცხოვრები მასპინძლის მისამართი;

დ) სამოგზაურო დაზღვევა;

ე) მოგზაურობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგალითად, მოქმედი საბანკო ელექტრონული ბარათი, ნაღდი ფული ან სხვა დოკუმენტი). ფინანსური უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხა სასტუმროს ხარჯის გარდა, როგორც წესი, არ აღემატება დღეში 50 ევროს.

3. ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების შემოწმების შემდეგ მესაზღვრე-კონტროლიორი ვალდებულია, საქართველოს მოქალაქეს განუმარტოს:

ა) ვიზის გარეშე გამგზავრება ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში დასაშვებია მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით. ერთი მოკლევადიანი ვიზიტი გულისხმობს 90 კალენდარულ დღეს ნებისმიერი 180 კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნული 90 დღე შეიძლება გამოყენებულ იქნეს გადაბმულად ან დღეთა გადანაწილებით. 90-დღიან პერიოდში შესაძლებელია მრავალჯერადი შესვლა ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნის ტერიტორიაზე;

ბ) 90-დღიანი ვადის (ყოველ 180 კალენდარულ დღეში) გადაცილების შემთხვევაში მისი ყოფნა ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყნის ტერიტორიაზე ჩაითვლება არალეგალურად და დაექვემდებარება გაძევებას;

გ) უვიზო მიმოსვლა არ გულისხმობს ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში მუშაობის უფლებას და გრძელვადიან ვიზიტს, ვინაიდან აღნიშნული ვიზიტის შემთხვევაში მას უნდა ჰქონდეს შესაბამისი საკონსულოს მიერ გაცემული ვიზა;



დ) უვიზო რეჟიმის პირობები არ მოიცავს მოგზაურობას ირლანდიასა და დიდ ბრიტანეთში.

4. მესაზღვრე-კონტროლიორი ვალდებულია, გააფრთხილოს საქართველოს მოქალაქე ამ ბრძანების მე-2 პუნქტის „ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დოკუმენტებში ხარვეზის გამოვლენის შემთხვევაში ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში შესვლაზე შესაძლო უარის თქმის შესახებ.

5. საქართველოს სახმელეთო სასაზღვრო გამტარ პუნქტზე თუ მესაზღვრე-კონტროლიორს აქვს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის ან ინფორმაცია, რომ საქართველოს მოქალაქე ევროკავშირის/შენგენის სივრცის ქვეყანაში მიემგზავრება სხვა ქვეყნის გავლით, მესაზღვრე-კონტროლიორი ვალდებულია განახორციელოს ამ ბრძანების მე-2-მე-4 პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები.

6. ეს ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (Info.police.ge) გამოქვეყნებისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

მინისტრი   გიორგი მღებრიშვილი

1. შენგენის ზონის ტერიტორია, რომელიც მოიცავს ევროკავშირის 22 წევრ ქვეყანას

ავსტრია	ნიდერლანდები
ბელგია	პოლონეთი
გერმანია	პორტუგალია
დანია	საბერძნეთი
ესპანეთი	საფრანგეთი
ესტონეთი	სლოვაკეთი
იტალია	სლოვენია
ლატვია	ჩეხეთი
ლიტვა	შვედეთი
ლუქსემბურგი	უნგრეთი
მალტა	ფინეთი

2. ევროკავშირის არაწევრი ქვეყნები:

ისლანდია	ნორვეგია
ლიხტენშტეინი	შვეიცარია

3. შენგენის კანდიდატი ქვეყნები:

ბულგარეთი	კვიპროსი
რუმინეთი	ხორვატია